საგამოცდო საკითხები

კ ლ ი ნ ი კ უ რ უ ნ ა რ ე ბ შ ი

დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის

NN 1 – 15 – „კლინიკური უნარ-ჩვევები“ IV სემესტრი
NN 16 – 19 - მოდული „მეანოდა და გინეკოლოგია I“
NN 20 – 27 - მოდული “ბავშვთა დაავადებები I“
NN 28 – 39 – ინტეგრირებული სილაბუსი “ შინაგან დაავადებათა მართვა და გერიატრიის საფუძვლები“

1. ასეპტიკა/ანტისეპტიკა,ხელების დაბანა, დამუშავება.
2. სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა: პულსის, სუნთქვის სიხშირის, არტერიული წნევის. პულსოქსიმეტრია.
3. ავ-ფის გადაადგილება და გადაბრუნება საწოლშსი, თეთრეულის გამოცვლის ტექნიკა. მწოლიარე ავ-ფის სანიტარული დამუშავება, ნაწოლების დამუშავება და პროფილაქტიკა. სათბურის და ყინულის ბუშტის გამოყენების წესები. ცხვირ-ხახის ნაცხის აღების ტექნიკა.
4. სახიფათო ნარჩენების მართვა სამედიცინო დაწესებულებაში(ნარჩენების კლასიფიკაცია და სეგრეგაცია).
5. მედიკამენტის შპრიციდან, ამპულიდან და ფლაკონიდან ამოღების ტექნიკა. კანშიდა, კანქვეშადა კუნთში ინექციები მანეკენზე, ჩვენება, უკუჩვენება, გართულებები.
6. ვაქცინაციის ჩატარების წესი.
7. სტერილური ხელთათმანის ჩაცმა/გახდა. ინტრავენური ინექცია მანეკენზე.
8. პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია მანეკენზე, საინფუზიო სისტემის დაყენება მანეკენზე. ჩვენება, უკუჩვენება, გართულებები.
9. შარდის ბუშტის კატეტერიზაცია (შბკ) მანეკენზე, ჩვენება, უკუჩვენება, გართულებები. შარდის აღების ტექნიკა, შარდმიმღების გამოყენება.
10. ნაზო/ოროგასტრალური ზონდირება, კუჭის ამორეცხვის ტექნიკა, ჩვენება, უკუჩვენება, გართულებები.
11. სამკურნალო კვება, მწოლიარე ავ-ფის კვების პრინციპები.
12. პირველი დახმარების პრინციპები ტრავმების და სისხლდენების დროს: კაპილარული, ვენური, არტერიული დამწოლი ნახვევის დადება მანეკენზე.
13. ლახტის დადება მანეკენზე, ნახვევის დადება მანეკენის თითზე, წინამხარზე, იდაყვის, მუხლის, ტერფ-წვივის სახსრებზე.
14. პაციენტის ტრანსპორტირება და მასთან მოპყრობა:

- გადაადგილება ჭოჭიალას მეშვეობით
- გადაადგილება ეტლის მეშვეობით
- გადაადგილება საკაცის მეშვეობით
- გადაადგილება ფარის მეშვეობით
- გადაადგილება ყავარჯნების მეშვეობით
- კიბეზე ასვლა/ჩამოსვლა ყავარჯნების მეშვეობით
- პაციენტის ტრანსპორტირება სხვადასხვა ტრავმის დროს

15. მოზრდილთა რეანიმაციის საფუძვლები (Basic Life Support, BLS): გულ-ფილტვის რეანიმაცია. გულის დეფიბრილაციის ჩატარება სიმულატორზე. გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩატარება სიმულატორზე,ხელოვნური სუნთქვის ჩატარება სიმულატორზე (პირით-პირში, პირით-ცხვირში, ამბუსტომრით).
16. სამეანო გასინჯვა (ლეოპოლდის მანევრები, სამეანო ტერმინოლოგია, ნაყოფის გულისცემის მოსასმენა, გრავიდოგრამა, ნეგელეს ფორმულის მიხედვით მშობიარობის სავარაუდო ვადის განსაზღვრა, ნაყოფის სავარაუდო წონის განსაზღვრა).
17. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ ნაცხის აღება:
ხელების დაბანის ტექნიკა, ხელთათმანების ჩაცმა, სარკის ჩადგმა-ამოღება, პაპ ნაცხის აღების ტექნიკა შპადელისა და ციტოჯაგრისის გამოყენებით, ბიმანუალური გამოკვლევა. თემით განსაზღვრული მანიპულაციების ჩატარება მანეკენზე.
18. საშვილოსნოსშიდა საშუალების ჩადგმა**:** სარკის ჩადგმა-ამოღება, სავილოსნოზე ტყვიის მაშის დადება-მოხსნა, საშვიოსნოს ზონდირება, საშვილოსნოსშიდა საშუალების ჩადგმის ტექნიკა. მეცადინეობაზე გამოყენებულია მულაჟი „ზოე“, სპირალის ჩადგმის საშვილოსნოს მულაჟი გამჭირვალე ზედა მინით, კუსკოს სარკე, საშვილოსნოს ზონდი, ტყვიის მაშა, სშს, ხელათმანები.
19. მშობიარობის მესამე პერიოდის აქტიური მართვა. მშობიარობის მესამე პერიოდის აქტიური მართვის უპირატესობა მოცდით ტაქტიკასთან შედარებით, აქტიური მართვის კომპონენტები: ოქსიტოცინის შეყვანა, ჭიპლარის კონტროლირებადი ტრაქცია, საშვილოსნოს გარეგანი მასაჟი.
20. ახალშობილის გადაუდებელი დახმარების ძირითადი პრინციპები:
ახალშობილის სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა და შეფასება; სიცოცხლის შენარჩუნების სასიცოცხლო ალგორითმი ABCDE; გულ-ფილტვის რეანიმაციის ძირითადი მეთოდები ერთი ან ორი პირის მიერ; ვენტილაცია სწორი პოზიცირება; ამბუს ნიღბის დადება; გულის არაპირდაპირი მასაჟი; ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორის გამოყენება; უცხო სხეულის ამოგდების ტექნიკა.
21. მოზრდილი ბავშვის გადაუდებელი დახმარების ძირითადი პრინციპები:
3-7 წლის ბავშვის სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა და შეფასება; სიცოცხლის შენარჩუნების სასიცოცხლო ალგორითმი ABCDE; გულ-ფილტვის რეანიმაციის ძირითადი მეთოდები ერთი ან ორი პირის მიერ; ვენტილაცია სწორი პოზიცირება; ამბუს ნიღბის დადება; გულის არაპირდაპირი მასაჟი; ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორის გამოყენება.
22. სასუნთქი სისტემის ფუნქციური სინჯები (RS ტესტს), ოქსიგენოთერაპია. პიკფლოუმეტრია-ჩვენებები და გამოყენების ტექნიკა.
23. ოქსიგენოთერაპია (ჟანგბადის მიწოდება) კანულით, მარტივი ნიღბით, არარევერსული ნიღბით, ვენტურის ტიპის ნიღბით, ჩვენებები, უსაფრთხო და ეფექტური გამოყენების წესები.
24. სასუნთქი გზების სანაციის პრინციპები, ოროფარინგეალური, ნაზოფარინგეალური, ოროტრაქეალური, ნაზოტრაქეალური, ტრაქეოსტომის სანაცია.
25. ინჰალაციური თერაპიის პრინციპები, ჩვენებები, გამოყენებადი მედიკამენტები, ნებულაიზერის ტიპები და გამოყენების წესები. პოსტურული დრენაჟი.

26. ტრავმა ბავშვებში. ტრავმის დროს გადუდებელი დახმარების ძირითადი პრინციპები ბავშვებში: პაციენტის ტრანსპორტირება, სისხლდენის შეჩერება, ჭრილობის დამუშავება, ნახვევის დადება, იმობილზაცია.
27. პედიატრიული პაციენტის ინტერვიუს ძირითადი პრინციპები, კომუნიკაცია. ექიმ–პაციენტის ურთიერთობის კალგარი კემბრიჯის სტრუქტურა; პედიატრიული პაციენტის გამოკითხვისა და კონსულტირება.
28. ფილტვების აუსკულტაცია მოზრდილებში და მათი რენტგენოგრამები. მოსასმენის ადგილების და მოსმენის თანმიმდევრობის დემონსტრირება სიმულატორზე. ფილტვების აუსკულტაციური მონაცემების ამოცნობა.
29. გულის აუსკულტაცია მოზრდილებში. მოსასმენის ადგილების და მოსმენის თანმიმდევრობის დემონსტრირება სიმულატორზე. გულის ნორმალური ტონები, ტონების გახლეჩა-გაორება, შუილები (სისტოლური და დიასტოლური) გულის სხვადასხვა მანკების დროს.
30. მუცლის პალპაცია. მუცლის ტოპოგრაფია, მუცლის ღრუს ორგანოთა პალპაცია სიმულატორზე. ზერელე და ღრმა პალპაცია. მუცლის კედლის რეზისტენტობა, მტკივნეულობა, შებერვა, სიმსივნის ან რაიმე წარმონაქმნის არსებობა და მუცლის ღრუში სითხის არსებობა. თირკმლის ტოპოგრაფია. შარდის ბუშტის პალპაცია, შარდის ბუშტის მიდამოს პერკუსია.
31. ეკგ. ნორმის და პათოლოგიის განსაზღვრა. ეკგ-ს გადაღება მანეკენზე ნორმალური ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია, ელექტრული ღერძის გადახრის ნიშნები. პარკუჭების და წინაგულების ჰიპერტროფიის ნიშნები. იშემიის და ინფარქტის ნიშნები.
32. არითმიების ინტერრპრეტაცია სიმულატორის გამოყენებით. ტაქიკარდია, ბრადიკარდია, ექსტრასისტოლია (სუპრავენტრიკულური და პარკუჭოვანი), პროექსიზმული ტაქიკარდია (სუპრავენტრიკულური და პარკუჭოვანი), წინაგულების თრთოლვა და ფიბრილაცია, პარკუჭების ფიბრილაცია, SA-ბლოკადა, AV-ბლოკადები, ჰისის კონის ბლოკადები.
33. მოზრდილთა რეანიმაცია, არითმიების მართვა . გულ-ფილტვის რეანიმაცია, გულმკერდზე ზეწოლები. აირგამტარი გზების გახსნა, პირით-პირში სუნთქვა, “ამბუს” თვითშლადი ტომრის გამოყენება. დეფიბრილატორის გამოყენება (დეფიბრილაცია, სინქრონული კარდიოვერსია) მანეკენზე.
34. ექოსკოპიის საფუძვლები. ულტრაბგერითი გამოკვლევა (ზოგადი) - ღვიძლის დათვალიერება და შეფასება, ნაღვლის ბუშტის დათვალიერება და შეფასება, თირკმლების დათვალიერება და შეფასება, გულის დათვალიერება და შეფასება სიმულატორზე.
35. ქირურგია: სისხლდენის შეჩერება. ჭრილობის დამუშავება. ნაკერების დადება, სპეციალური სტრუქტურების აღდგენა და ლიგირება. ვაქცინაციის ჩატსრების წესი, მოსალოდნელი გართულებები და მათი მართვა. ხელების დაბანა და ქირურგიული დამუშავება. ჭრილობის ტიპები, კვანძოვანი და უწყვეტი ნაკერები, მარტივი და ქირურგიული კვანძები. ლიგატურის დადება სიღრმეში რბილ ქსოვილებზე (სიმულატორზე) სიმყლატორზე.
36. ტრავმის მართვა. ტრავმის დროს გადუდებელი დახმარების ძირითადი პრინციპები; პირველადი დახმარება ტრავმის დროს; პირველადი დახმარება მოტეხილობის და

დამწვრობის დროს, პირველადი დახმარება ჭრილობისა და სისხლდენის დროს, იმობილიზაცია, ტრანსპორტირება მანეკენზე.

37. ოფთალმოლოგია, თვალის დაავადებები. თვალის ფსკერის დათვალიერება ოფთალმოსკოპით სიმულატორზე და პათოლოგიების დიაგნოსტირება (სიმულატორზე).
38. ოტოლოგია, ყურის დათვალიერება. ყურის დათვალიერება სიმულატორზე და პათოლოგიების დიაგნოსტირება(სიმულატორზე). PCR ტესტის აღების ტექნიკა.
39. მოზრდილი და გერიატრიული პაციენტის ინტერვიუს ძირითადი პრინციპები, კომუნიკაცია. ექიმ–პაციენტის ურთიერთობის კალგარი კემბრიჯის სტრუქტურა; მოზრდილი და გერიატრიული პაციენტის გამოკითხვისა და კონსულტირება.